

პროფ. დოქ. ჯაფარ ქარაიანი



უსაფრთხო საზოგადოება



პროფ. დრ. ვალერი ჯანთია

უსაფრთხი საბოლოოება





დიანეთის საქმეთა სამმართველოს გამომცემლობა:1766
სახალხო წიგნები: 436

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი muslim-georgia

ბეჭდვითი მონიტორინგი
დოქ. ფატიჰ ქურთი

კოორდინატორი
იუნუს იუქსელი

გრაფიკა და დიზაინი
ბილალ ილკაი

გამოცემისთვის მოამზადა
ულურ ალთინთოვი

ნაწარმოების განმხილველი კომისიის გადაწყვეტილება:
05.02.2020/33

ISBN: 978-605-7751-81-2

2020-06-Y-0003-1766

სერთიფიკატის ნო: 12930

1. გამოცემა, ანკარა 2020

გამოცემა

Salmat Basım Yay. Amb. San. ve Tic. Ltd. Şti

Tel : +90 312 341 10 24

© თურქეთის რესპუბლიკის რელიგიის საქმეთა სამმართველო

საკონტაქტო ინფორმაცია

რელიგიური პუბლიკაციების გენერალური სამმართველო
უცხო ენასა და დიალექტებზე საგამომცემლო სამმართველო

Dini Yayınlar Genel Müdürlüğü

Yabancı Dil ve Lehçelerde Yayınlar Daire Başkanlığı

Üniversiteler Mah. Dumlupınar Bulvarı

No:147/A 06800 Çankaya/Ankara/TÜRKİYE

ტელ: +90 312 295 72 81

ფაქსი: +90 312 284 72 88

e-posta: yabancidiller@diyanet.gov.tr

„გამოსამშვიდობებელი ჰაჯი შუამავლისთვის პირველი და ერთადერთი ჰაჯი იყო. ხალხს სურდა ქააბა, მინა, არაფატი შუამავალთან ერთად მოელოცა, ამიტომ ამ ჰაჯის დროს დაახლოებით ასი ათასი მუსლიმი შეიკრიბა. ტავაფის მდელვარება, არაფატის სიმშვიდე, ვედრების გულწრფელობა მომეტებულად იგრძნობოდა. ყოველ ფეხის ნაბიჯზე ღვთისადმი მადლიერება, ლოცვა და ვედრება ისმოდა.

თვალუწვდენელი ხალხმრავლობა იყო, მაგრამ ისინი თითქოს ერთ სხეულად ქცეულიყვნენ. უკანასკნელი შუამავლის ირგვლივ მიდიოდა უამრავი ადამიანი... ბედნიერი ხალხი, რომლებიც მასთან ერთად დაადგნენ ამ გზას, ზოგი გზად დახვდა, თექბირებით, იჰრამით...

ისტორიის ამ უბადლო მომენტში შუამავალი, როგორც ყოველთვის, ისევ ასწავლიდა, ისევ შეაგონებდა. ეს იყო მუდმივი სწავლების პროცესი, რომელიც ჰაჯსაც მოიცავდა. გამოსამშვიდობებელი ხუტბა დროსა და სივრცეს სცილდებოდა და მთელ კაცობრიობას სწვდებოდა. შუამავალი არაფატიჰე იყო. წითელ აქლემზე ამხედრებული იქ მისულ მომლოცველებს ეხმიანებოდა, ჩვენ გვეხმიანებოდა...

ის ადამიანებს უხსნიდა, რომ რწმენა უსაფრთხოებას, ხოლო ისლამი მშვიდობას გულისხმობდა. „ადამიანებო! ამ (ზილჰიჯჯე) თვეში, ამ ქალაქში (მექა), როგორც ხელშეუხებელია ეს დღე (არაფა), ისეთივე ხელშეუხებელია თქვენი სისხლი, ქონება და ნამუსი“ (ბუჰარი, ილიმ 9)

ისლამი მშვიდობა და სტაბილურობა

სიტყვა ისლამი ხილული და უხილავი ბოროტებისგან განწმენდას ნიშნავს. ისლამი ასევე ნიშნავს მშვიდობას, რომელიც არაბული სიტყვების: „სელმ“ და „სილმ“-ისგან მომდინარეობს. სიტყვის ფუძისეული მნიშვნელობა „მშვიდობაა“. შესაბამისად, მუსლიმი მშვიდობიანს, მშვიდობის მიმდევარს ნიშნავს. გამომდინარე აქედან, იყო მუსლიმი ნიშნავს კონფლიქტებისა და არეულობის მიღმა მშვიდობისა და სტაბილურობისთვის ზრუნვას.

ისლამით მიღწეული მშვიდობა მხოლოდ ადამიანებს შორის კი არა, ადამიანებსა და გარემოს შორისაც უნდა დამკვიდრდეს. ადამიანი, როგორც მისი გაჩენის არსი მოითხოვს, გამჩენის მიმართ მორჩილებასა და თაყვანისცემას მისდევს და ამავედროულად სხვა ადამიანებისა და გარემოს მიმართ მშვიდობიან დამოკიდებულებაშია. ამ თვალსაზრისით ისლამი ღვთის მიერ შეამავლის შეამავლობით ადამიანებთან დადებული ერთგვარი ხელშეკრულებაა. ეს ხელშეკრულება ღმერთსა და ადამის მოდგმას შორისაა დადებული.



სარწმუნოება ყველაზე
საფუძვლიანი სისტემაა,
რომელიც ადამიანს
უსაფრთხოებას
აძლევს. ასეთი სისტემის
დამკვიდრებისთვის კი
ღმერთმა ყოვლად
ერთგული
და სამართლიანი
შუამავალი მოავლინა.



ყურანში ნაბრძანებია:

„აკი, შენმა ღმერთმა ადამის შვილთა წელიდან მათივე შთამომავლობა გამოიყვანა, და საკუთარი თავის წინააღმდეგ ამოწმებინა: „განა არა ვარ თქვენი ღმერთი მე?“ უთხრეს: „ღიას, ვაღიარეთ ჩვენ.“ უეჭველად, ჩვენ არ ვუწყოდით ამას, რომ არ ეთქვათ ადღგომის დღეს“.

(არაფ 7/172)

ღმერთი კაცობრიობის ისტორიის მანძილზე გზავნიდა შუამავლებს, რომლებსაც ღვთიური გზავნილი მოჰქონდათ. ეს გზავნილი ამ შეთანხმების შეხსენება იყო. ღმერთმა ადამიანი საუკეთესო ფორმით გააჩინა, მისცა მას გონება და თავისუფალი ნება და ამ თავისუფლების შესაბამისად, დედამიწაზე, გამოცდისთვის მოავლინა. თუ ადამიანი თავისი თავისუფალი ნების შესაბამისად სიკეთის მხარეს დადგება სამოთხეში წავა, თუ ბოროტებას აირჩევს, ჯოჯოხეთში მოხვდება. არჩევანი მასზეა, კეთილი საქმეებისთვის დაჯილდოვდება, ხოლო ბოროტებისთვის დაისჯება. ყურანში ნაბრძანებია:

„უეჭველად, ჩვენ ადამიანი „საუკეთესო ფორმად“ გავაჩინეთ!

მერე კი ვაქციეთ იგი უმდაბლეს საფეხურზე!

გარდა იმათი, რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი. მათთვისაა ჯილდო უღვევი!


(ო, ადამიანო!) მაშ, შენ ამის შემდეგ რა გემართება, რომ ჭეშმარიტ სარწმუნოებას ცრუდ რაცხავ?

განა არ არის ალლაჰი სამართლიანი მსაჯული მსაჯულთა შორის?“ (თინ 95/4-8)

რწმენა უსაფრთხოება და სიმშვიდე

რწმენა, ადამიანის მიერ, ზემოთ ნახსენები ხელშეკრულების აღიარება და დადასტურებაა. რწმენა ადამიანს სიმშვიდესა და უსაფრთხოების განცდას აძლევს. (იხ. იუსუფ 12/64) რწმენა ადამიანისთვის უდიდესი თავშესაფარია. მისი წყალობით ადამიანი უზენაეს ძალას მიეკედლება და სხვა ყველა ძალის წინაშე თავს უსაფრთხოდ გრძნობს. ყურანში ნაბრძანებია:

„თქვი: მივეკედლები ადამიანთა ღმერთს, ადამიანთა უფალს, ადამიანთა ღვთაებას მაცდურის (ეშმაკის) დაფარული სიავისგან, რომელიც ადამიანთა გულებს უბიძგებს



„მხოლოდ
შენ გცემთ
თაყვანს
და მხოლოდ
შენგან
ვითხოვთ
შეწევნას!“

ცუდისაკენ! (ის ეშმაკი) გინდ ჯინ-
თაგან და თუგინდ ადამიანთაგან
(იყოს)!“ (ნახ 114/1-6)

დედამიწაზე გაჩენილი ყოველი
ადამიანი ღვთის მიერ მოვლენილი
გზავნილის ადრესატია. ღმერთს
ადამიანი არასოდეს მიუტოვებია
და მთელი ისტორიის მანძილზე
ასწავლიდა, თუ როგორ უნდა ეც-
ხოვრა.

სარწმუნოება ყველაზე საფუძვ-
ლიანი სისტემაა, რომელიც ადამი-
ანს უსაფრთხოებას აძლევს. ასეთი
სისტემის დამკვიდრებისთვის კი
ღმერთმა ყოვლად ერთგული და
სამართლიანი შუამავალი მოაველი-
ნა.

სარწმუნოება ღვთიური ნებით
დადგენილი შეთანხმებაა, რომე-
ლიც ადამიანებსა და ჯინებს წა-
რედგინათ. ამ შეთანხმების მი-
ღება და დადასტურება რწმენას
ნიშნავს. ვინც აღიარებს, რომ „ლა
ილაჰე ილლელლაჰ მუჰამმედუნ
რესულულლაჰ“ ანუ არ არსებობს
სხვა ღმერთი, გარდა ალლაჰისა
და მუჰამმედი მისი შუამავალია,
ის მუსლიმი ხდება. მორწმუნე ადა-
მიანი შუამავლის მიერ მოტანილ
გზავნილს აღიარებს, ადასტურებს

და მთელი გულით ღმერთს მიენდობა.

ინჟენა გულწრფელობა

ყოველდღურ ცხოვრებაში რწმენა დაჯერებას, მინდობას, გულწრფელობას ნიშნავს. ადამიანები რწმენას ამ მნიშვნელობებით ხშირად იყენებენ. ადამიანური ურთიერთობების დროს რწმენა აუცილებელია. ოჯახის წევრებს შორის, სხვა ადამიანებს შორის ბედნიერი ურთიერთობებისთვის ერთმანეთის რწმენა და ნდობაა საჭირო. საზოგადოებრივ სიმშვიდესა და კეთილდღეობასაც რწმენა, გულწრფელობა, სანდობა განაპირობებს. სადაც არ არის რწმენა, იქ არც უსაფრთხოებაა.

რელიგიური მნიშვნელობით რწმენა ახლო კავშირშია მის თოველდღურ მნიშვნელობასა და კონტექსტთან. სარწმუნოებაშიც რწმენა დაჯერებას, აღიარებას, ნდობას და გულწრფელობას გამოხატავს. ისლამში რწმენა დიადი ღმერთს მიმართ უპირობო მინდობასა და ამავედროულად მის წინაშე გულწრფელობას გულისხმობს. ამრიგად, რელიგიურად რწმენას ორი განზომილება გააჩნია, ნდობა და

გულწრფელობა.

„იძულება არაა სარწმუნოებაში. ჭეშმარიტი გზა ნათლად გამოირჩა ცდომილისგან. მაშ, ვინც უარყოს ტალუთი (ეშმაკი და ეშმაკისეული გზა) და იწამოს ალლაჰი, უეჭველად, ის მყარ საყრდენს არის ჩაჭიდებული, რომლის ნგრევა შეუძლებელია. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმსმენია, ყოვლისმცოდნეა“.

(ბაყარა 2/256)

აიათი გვასწავლის თუ როგორი უნდა იყოს ღვთისადმი ნდობა. ადამიანის ერთადერთი ნდობის წყარო ღმერთი უნდა იყოს. ჩვენ ყოველდღური ღოცვისას ვკითხულობთ ფათიჰას:

„ქება-დიდება ალლაჰს, სამყაროთა ღმერთს,

მოწყალესა და მწყალობელს,

განსჯის დღის ერთადერთ განმკარგველს!

მხოლოდ შენ გცემთ თაყვანს და მხოლოდ შენგან ვითხოვთ შეწევნას!

გვატარე სწორი გზით !

იმათი გზით,ვისაც სიკეთე უბო-

ძე შენ, და არა იმათი გზით, ვისაც შენი რისხვა დაატყდა თავს და არც იმათის, რომელნიც მცდარ გზაზე დგანან!“ (ფათიჰა 1/1-6)

ამ განწყობითა და რწმენით მოქმედი ადამიანი ჯანსაღი რწმენითაა აღჭურვილი. მორწმუნე ადამიანი მთელი გულით ღმერთზეა მიჯაჭვული. მას სჯერა, რომ ყველა ადამიანი, ყველა არსება, გარემომცველი ბუნება და მთელი სამყარო ღვთის მფარველობის ქვეშაა. ასეთი ადამიანის გული სრულიად დამშვიდებულია.

მორწმუნემ იცის, რომ ღმერთი ყოვლად მოწყალეა და ის თავის მსახურს არ დააღალატებს. მორწმუნეს ამავდროულად შუამავლის შეგონებების სჯერა და ენდობა. ის დარწმუნებულია, რომ შუამავალმა სწორად ასწავლა და ამ სწავლების მიხედვით ისლამი ამქვეყნადაც და საიქიოშიც სწორი გზაა, რომელიც ორივე ქვეყნად ბედნიერების მომტანია.

სიტყვა ისლამი
ხილული და უხილავი
ბოროტებისგან
განწმენდას
ნიშნავს.

ისლამი ასევე ნიშნავს
მშვიდობას, რომელიც
არაბული სიტყვების:
„სელმ“ და „სილმ“-
ისგან მომდინარეობს.

სიტყვის ფუძისეული
მნიშვნელობა
„მშვიდობაა“.
შესაბამისად,
მუსლიმი
მშვიდობიანს,
მშვიდობის მიმდევარს
ნიშნავს.



სადაც არ არის რწმენა,
ნდობის ადგილს
შფოთვა იკავებს და
საზოგადოებაში
შემაწუსებელი
ატმოსფერო ყალიბდება.
სიმშვიდე იკარგება.



მხოლოდ ღმერთზე მინდობა არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანმა ამქვეყნიური ყველაფრის მიმართ ინტერესი უნდა დაკარგოს. ადამიანი ხომ ღვთის მიერ გაჩენილ და ადამიანისთვის საცხოვრებლად ხელსაყრელად ქმნილ დედამიწაზე ცხოვრობს. ადამიანი აქ ცხოვრობს და ღვთის მიერ დადგენილი წონასწორობის და წესების ფარგლებში უნდა იცხოვროს. სამყაროში არსებული წონასწორობის აღქმა უზენაესი გამჩენის აღირებას მასზე მინდობას განაპირობებს. ბუნებრივია ღმერთზე მინდობა და ამავედროულად სამყაროში არსებული პირობებისა და შესაძლებლობების უგულებელყოფა სწორი არ გახლავთ.

იგივე თვალსაზრისი მოქმედებს ადამიანებთან ურთიერთობის შემთვევაშიც. ღმერთზე მინდობილი ადამიანი ირგვლივმყოფებში ნდობას აღძრავს და შესაბამისი ქცევები ახასიათებს. ამ გზით სრულიად ბუნებრივი და ნდობაზე დამყარებული ურთიერთობები ჩამოყალიბდება. რწმენა ადამიანის ღვთისადმი ნდობას უზრუნველყოფს და ამასთანავე ის ზომიერად თავდაჯერებული ხდება, რაც საბოლოო ჯამში ადამიანების თვალში

სანდობას გამოიწვევს. ამრიგად, ღმერთსა და ადამიანს შორის გადებული ეს ნდობის ხიდი ადამიანსა და საზოგადოებას შორის გაიდება.

ღვთის წინაშე გულწრფელობა კი გამოიხატება იმაში, რომ ადამიანი სამყაროში არსებულ ღვთიურ წესრიგს აკვირდება და ამ ყველაფერს გულწრფელად, შინაგანად აღიარებს. მოდით ასეთ აზრი განვაკითხროთ: ადამიანი ზამთარში თბილ ტანსაცმელს იცვამს, რათა არ შესცივდეს და ზაფხულში პირიქით, თხლად იცვამს, რომ არ დასცხეს. გარემოს პირობები იძულებულს ხდის, რომ ასე მოიქცეს. ადამიანს შეუძლია ეს ყველაფერი ღვთის კმაყოფილების მოპოვების მიზნით გააკეთოს. მაგალითად მას შეუძლია იფიქროს, რომ ღმერთმა სხეული ამანათად მიაბარა და ის ვალდებულია ამ სხეულს გაუფრთხილდეს და მისი ჯანმრთელობა დაიცვას. სხეულის სიჯანსაღის დაცვა კი მხოლოდ იმ პირობების შესრულებითაა შესაძლებელი, რაც ღმერთმა დედამიწაზე გააჩინა. პირობებს თუ გავეწინააღმდეგებით სავალალო შედეგებამდე მივალთ. გამომდინარე აქედან, დროსა და პირობებზე მიყოლა და წესისა-

მებრ მოქცევა ღვთის კმაყოფილების მიხედვით მოქცევა გამოდის. ამ გზით ადამიანი არა გარეგანი ფაქტორების ზეგავლენით, არამედ შიგნიდან მომდინარე გულწრფელი მოტივაციით მოქმედებს.

ამ ყველაფერს ღვთის მიერ სამყაროში გაჩენილი კანონზომიერების მიხედვით ცხოვრება ჰქვია. თუმცა ყველა ადამიანისგან მსგავსი დამოკიდებულების მიხედვით მოქცევას არ უნდა ველოდეთ. ღმერთმა გარკვეული დავალებები მოგვცა, რათა სამყაროში არსებული წონასწორობისა და ბოძებული წყალობის ფასი გავიგოთ. ყველა ეს დავალება და მათი პირობა სამყაროში არსებულ წესრიგთან სრულ თანხვედრაშია. ადამიანი, რომელიც ამ დავალებებს ასრულებს, ის ამავედროულად სამყაროში არსებულ კანონზომიერებას იცავს. ამ მოვალეობების შესრულების მიზანი ადამიანის მსახურების ხარისხის გაზომვაა. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ამით ადამიანის ღვთისადმი რწმენა და გულწრფელობა იზომება.

ღმერთი ადამიანებს ასე ეხმარება:

მორწმუნეას სწამს,
რომ მთელი სამყარო
ღვთის მეთვალყურეობისა
და მფარველობის ქვეშაა.

ამდენად ის მშვიდაა.

გულში სიხალგათეს გრძნობს.

სანდოა და ნდობას იწვევს.

„უეჭველად, მე ვარ ალლაჰი! არ
არსებობს ღვთაება, გარდა ჩემი.
მაშ, მხოლოდ მე მეცი თაყვანი და
ლოცვად დადექი ჩემი გახსენები-
სათვის!“ (ტაჰა 20/14)

„უეჭველად, წარღვნის საათი
დადგება. ლამისაა თავს დავუმა-
ლო იგი, რამეთუ უნდა მიეგოს
ყველა სულს საზღაური, რისკენაც
ისწრაფოდა!

მაშ, უკუარგაქციოს მისგან , ვი-
საც არ სწამს მისი და აყოლილია
ვნებებს, თორემ დაიღუპები!“ (ტაჰა
20/15-16)

ამრიგად, თუ ადამიანები გულწ-
რფელად იწამებენ და რწმენიდან
გამომდინარე კეთილ საქმეებს გა-
აკეთებენ, ისინი ღვთით დადგენილ
გამოცდას წარმატებით ჩააბარებენ.

(იხ. ზუმერ, 39/11-14) რწმენის საფუძველი ასეთ გულწრფელობასა და ნდობაზეა დამყარებული. ღმერთს რომ ადამიანების ამ გამოცდაში ცაჭრა ნდომებოდა, ის ამდენ შუამავალს არ მოავედნდა. უკანასკნელი შუამავლის შესახებ კი ის ბრძანებს:

„და არ წარგვიგზავნიხარ შენ , თუ არა მოწყალეობად სამყაროთათვის !“ (ენზია 21/107)

ადამიანს საზოგადოება სჭირდება

ადამიანი ძირითადად სხეულის, სულისა და ხუთი გრძნობისაგან შედგება. ადამიანი საკუთარ თავს მიმართავს, როგორც „მე“. მე ვჭამე, მე ავად გავხდი და ა.შ. როდესაც ის ამბობს „მე“, გულისხმობს ამ ყველაფერს; სხეულს, სულს და იმ ხუთ გრძნობას. ამათგანს სხეული ცვალებადია და დროთა განმავლობაში ის იცვლება. ადამიანს ასევე აქვს უცვლელი მხარეც. ამის მიუხედავად ადამიანი ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ასაკში ამბობს „მე. წარსულში მოღვაწე სწავლულები მიიხნევენ, რომ ადამიანს ხილული სხეულის მიღმა უხილავი „მე“ გააჩნდა. ამრიგად ადამიანი სხეულის ცვლილების მიუხედავად, იმ უცვლელი „ადამიანობის“

გამო მუდმივად ამბობს „მე“.

ცნობილი სწავლული დებიუსი სამყაროში არსებულ სხვა არსებებთან ერთად ადამიანის ადგილს შემდგენაირად აღწერდა: დედამიწა და საიქიო ოთხი სახის არსებებისთვისაა გაჩენილი. ესენი არიან: ანგელოზები, ეშმაკები, ჯინები და ადამიანები. იმ შემთხვევაში თუ ადამიანი საკუთარ უფლებებსა და პასუხისმგებლობებს სწორად გაიაზრებს და სწორად იცხოვრებს, ამ არსებებს შორის ყველაზე მაღლა ის დადგება. გამომდინარე აქედან, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთელი სამყარო ადამიანისთვისაა გაჩენილი.

ადამიანი, როგორც გონიერი, პატივდებული, ღირსეული და თავისუფალი ნების მქონე არსება დიდი პასუხისმგებლობის მატარებელია. მართალია ეს პასუხისმგებლობა დიდია, მაგრამ ადამიანს შესაბამისი ძალა და უნარები გააჩნია, რომ აღნიშნული პასუხისმგებლობა გაიაზროს და წარმატებით გაართვას თავი. ჰაშრის სურას 21-ე აიათში ნაბრძანებია, რომ ადამიანი მთაზე უფრო მტკიცეა.

„ჩვენ რომ გარდმოგვევლინა ეს



საზოგადოებრივი წესრიგი
მმართველი გუნდის,
მეცნიერებისა
და უბრალო მოქალაქეების
ერთანი ძალისხმევითა და
პასუხიმგებლობების
გააზრებით მიიღწევა.



ყურანი მთაზე, უთუოდ, ნახავდი მას შეძრწუნებულს, ჩამოქცეულს ალლაჰის შიშისგან. ეს იგავები მოგვაქვს ხალხთათვის, ეგების დაფიქრდნენ ეგენი!

ადამიანი ღვთიური გზავნილის ადრესატია. ის დედამიწაზე სწორად ცხოვრებისათვის საჭირო უნარებს ფლობს. ყურანში ნაბრზანებია, რომ ადამიანი საუკეთესო ფორმითაა გაჩენილი.

ამ ყველაფრის მიუხედავად ადამიანი სრულყოფილი ცხოვრებისთვის სხვა ადამიანების გარემოცვაში ცხოვრებას საჭიროებს. ღმერთმა ჯერ ადამია გააჩინა და მაშინვე გაუჩინა მეუღლეც. ამის შემდეგ მათ ეყოლათ შვილებიც. იმ დღიდან მოყოლებული ადამიანი მუდმივად სხვა ადამიანებთან ერთად ცხოვრობს. ეს მისი უცვლელი ბედისწერაა. აზრი, რომლის მიხედვითაც ადამიანს მარტო ცხოვრება შეუძლია ლოგიკას მოკლებულია და მხოლოდ იდეის დონეზეა. ადამიანს სტაბილურ საზოგადოებაში, უსაფრთხო და მშვიდ გარემოში ცხოვრება სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში ადამიანს შფოთვა და შიში შეიპყრობს და ბედნიერი ვერ იქნება.

შიში და შიმშილი ადამიანის ორი ძირითადი საფრთხეა. სინამდვილეში ეს ორი გრძნობა ყველა ცოცხალი არსებისთვის საერთოა. ადამიანის შემთხვევაში კი ეს ორივე უფრო მაღალ საფეხურზეა. ადამიანი დაბადებიდანვე ამ ორი გრძნობით მოქმედებას იწყებს და თავისი ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე უსაფრთხო გარემოს ეძებს. შიში ადამიანის სულს აზიანებს, შიმშილი კი სხეულისთვისაა საშიში. შიში ადამიანის ფსიქოლოგიას ანგრევს, შიმშილი კი სხეულს ასუსტებს.

ადამიანის საზოგადოებაში ცხოვრება, ძირითადად ამ ორი გრძნობის, უფრო სწორად ამ ორი საფრთხის თავიდან ასაცილებლად არის საჭირო. ნებისმიერ საზოგადოებაში არის მექანიზმები, რომელთა მეოხებითაც ინდივიდები გარედან მომდინარე საფრთხეებისგან მეტ-ნაკლებად დაცულნი არიან. ძველად სავაჭრო ქარავნები დიდ ჯგუფებად გადაადგილდებოდნენ, რათა უფრო დაცულები ყოფილიყვნენ. მარტო ყოფნა ადამიანს საფრთხის წინაშე მოწყველად მდგომარეობაში აყენებს. გარდა



ადამიანი დღეს
საშინელ
დაუცველობას და
უპერსპექტივობას
განიცდის. ის
ტექნოლოგიების
გამოყენებით
ცდილობს უსაფრთხო
გარემოს შექმნას.
მიუხედავად
იმისა, რომ
უსაფრთხოებისთვის
წარმოუდგენელი
მცდელობა
იხარჯება, ადამიანი
მაინც დაუცველია
და მუდმივი სტრესის
ქვეშ ცხოვრობს.
ანუ სინდისი
და მორალია
საჭირო.

ამისა, ისტორიული გამოცდილება გვეუბნება, რომ ადამიანის მარტო ცხოვრება შეუძლებელია.

საზოგადოების სახით ცხოვრება ადამიანს გარკვეულ უსაფრთხოების გარანტიებს სთავაზობს. გარდა ამისა ერთ გარემოში მცხოვრები ადამიანები ერთმანეთს ეხმარებიან და ერთიმანეთის საჭიროებებს აკმაყოფილებენ. საზოგადოებრივი წესრიგი ინდივიდებს შორის თანადგომისა და კონფლიქტების დაბალანსება იწვევს. საზოგადოებაში არსებული თანადგომისა და კონფლიქტების საზღვრების გამოკვეთა ისევ საზოგადოებრივი კონსენსუსის შედეგად, ან კიდევ გარედან ჩარევით არის შესაძლებელი. ისლამის სწავლულები მიიჩნევენ, რომ საზოგადოებრივი წესრიგის მიღწევა მხოლოდ და მხოლოდ ღვთიური გზავნილის მიხედვით ცხოვრებითაა შესაძლებელი. ბუნებრივია საზოგადოების შემადგენელი ყოველი ინდივიდის მიერ ღვთიური გზავნილის მიღება და ამ მიზნის

შესაბამისი შედეგის დაღება შეუძლებელი იქნებოდა, ამიტომ ღმერთმა ადამიანებს გზის მაჩვენებლად შუამავლები მოუვლინა.



გარეგანი
დისციპლის
უზრუნველსაყოფათ
შექმნილი კანონები,
სამართალი და
რეგულაციები
უსაფრთხოებისთვის
რა თქმა უნდა
აუცილებელია,
მაგრამ არ უნდა დაგვა-
ვიწყდეს,
რომ მათი
ეფექტურობისთვის
შინაგანი დისციპლინა

საზოგადოება იზმენას,

სამართალსა და ზნეობას ეყრდნობა

საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისთვის, ანდა სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის რამოდენიმე წესის დაცვაა საჭირო. ესენი ძირითადად სამართლებრივი რეგულაციებია, თუმცა ადამიანის შინაგანი პასუხისმგებლობის, სინდისისა და მორალის გარეშე ამ რეგულაციების ეფექტურობა ძალიან დაბალია. გარეგანი დისციპლის

უზრუნველსაყოფათშექმნილი კანონები, სამართალი და

რეგულაციები უსაფრთხოებისთვის რა თქმა უნდა აუცილებელია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მათი ეფექტურობისთვის შინაგანი დისციპლინა

ანუ სინდისი და მორალია საჭირო.

გამომდინარე აქედან, ისლამში სამართლებრივი რეგულაციების ეფექტურობისთვის გათვალისწინებულია მორალური წინაპირობები, რათა რეგულაციების ეფექტურობა მაღალი იყოს. ინდივიდუალურ დო-

შუამავალი ბრძანებს:
„მორწმუნე ის ადამიანია,
რომლისგანაც ადამიანები
დარწმუნებული არიან, რომ
მათ სიცოცხლესა
და ქონებას საფრთხე არ
ემუქრება“.

(თირმიზი, იმან 12)





ნეზე შინაგანი პასუხისმგებლობის აღქმა მორალური პრინციპების საშუალებით ხდება, ისინი კი თავის მხრივ ჯანსაღ რწმენას საჭიროებენ. მორალი რწმენით იკვებება. რწმენაა ის ფაქტორი, რომელიც მორალს ასაწრდოებს. შუამავალი ბრძანებს: „მორწმუნეთა შორის საუკეთესონი, ყველაზე ღამაზი მორალის მქონენი არიან“ (თირმიზი, იმან, 6)


მაღალი მორალის შექმნა კი სისტემატიური და კომპლექსური აღზრდის შედეგია. ამ ყველაფრის გარეშე, ბუნებრივია, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება ვერ დამკვიდრდება. ამრიგად რწმენა, მორალი და სამართალი ის სამეულია, რომლებიც ერთიმეორეს ასაზრდოებენ და ეფექტურობის გარანტიას ქმნიან. თუ ერთი რომელიმე არ არის, დანარჩენების ეფექტურობა ნულდება. სადაც სამართალი არ არის იქ ვერც მორალზე ვისაუბრებთ და სადაც მორალი არ არის, იქ ჯანსაღ რწმენაზე საუბარი გამორიცხებულია. აგრეთვე, სადაც რწმენის საფუძველი არ არის, იქ არც სამართლიანობაა და არც მორალი.

უსაფრთხო საზოგადოება, ეს ერთიანობაა

როგორ უნდა შეიქმნას საზოგადოებრივი უსაფრთხოება?

ამ კითხვის პასუხი ზემოთ ჩამოთვლილ სამეულში უნდა ვეძებოთ. შუამავალი ბრძანებს: თუ რომელიმე თქვენგანი ბოროტებას ნახავს ჯერ ხელით აღკვეთოს. თუ ამისათვის ძალა არ შესწევს, ენით გამოასწოროს და თუ ესეც არ შეუძლია გულით დაგმოს“. (მუსლიმ, იმან 78) ბუნებრივია მოვლენების შესაცვლელად გარკვეული შესაძლებლობებია საჭირო. ბოროტების აღკვეთის ძალა დღეს სამართალდამცავი ორგანოების პრეროგატივაა. სიტყვით ზემოქმედება და სიტუაციის უკეთესობისკენ შემობრუნება კი განათლებულ ადამიანებს შეუძლიათ. მათი სიტყვა მოქმედებს როგორც უბრალო ადამიანებზე, ისე ქვეყნის მმართველ გუნდზეც. გამომდინარე აქედან, ქვეყნის ინტელიგენცია სრულიად დამოუკიდებელი უნდა იყოს, რათა ობიექტურობა შეინარჩუნოს.


ჰადისში ნახსენები მესამე ეტაპი კი საზოგადოების რიგით წევრებზეა გათვლილი. ბუნებრივია მათ



არ გააჩნიათ სათანადო ბერკეტები, რომ უარყოფითი მოვლენები დადებითისკენ, რაღაც გლობალური სახით შეცვალონ, ამიტომ მათ მხარი არ უნდა დაუჭირონ უსამართლობას და გულთ უნდა დაგმონ.

ბოროტების დაგმობა ასევე გულისხმობს ბოროტებისკენ მიმავალ გზებზე თავის არიდებას და ცოდვისგან თავდასაცავად პრევენციულ მოქმედებას. ცოდვის დაგმობა, მისი გულთ უარყოფა ყველა მორწმუნის ვალდებულებაა.

ამრიგად, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისათვის ყველამ უნდა იზრუნოს და ყველას თავისი გასაკეთებელი გააკეთოს. სტაბილურობა დამოკიდებულია ქვეყნის მმართველობაზე.



ველ გუნდზე, ინტელიგენციასა და რიგით მოქალაქეებზე. თუ რომელიმე მათგანი თავის ვალდებულებას არაჯეროვნად ასრულებს, ან ამ საკითხს გულგრილად ეკიდება, სისტემა აღარ იმუშავებს და საზოგადოებრივი უსაფრთხოება დაირღვევა. ამ ტიპის საკითხებში საჭიროა შინაგანად გულწრფელი დამოკიდებულება. ადამიანს შინაგანად უნდა სურდეს და აღიარებდეს, რომ რასაც აკეთებს სწორია და სიკეთის მხარესაა, რაც ამავდროულად გამოიხატება იმაში, რომ ის გულთ გმობს ბოროტებას და საექვეო ვითარებას არ ეკარება.

მორწმუნე არის ადამიანი, რომელიც რწმენისგან მიღებული სან-

დობით ირგვლივ სანდობას ავრცელებს. შუამავალი ბრძანებს: მორწმუნე ის ადამიანია, რომელიც ადამიანთა სიცოცხლისა და ქონებისთვის უსაფრთხოა“. (იხ. თირმიზი, იმან, 12) ადამიანის რწმენა საზოგადოებისთვის სანდობაში უნდა გამოიხატებოდეს. ადამიანის შინაგანი სტაბილურობა მის ქცევებში უნდა გამოიხატებოდეს. შინაგანი სტაბილურობის განცდის გარეშე საზოგადოებრივი სტაბილურობა არ მიიღწევა. საწოგადოებრივი წინსვლა, მხოლოდ სტაბილურობის პირობებშია შესაძლებელი. სადაც სტაბილურობა არ არის, იქ არც კეთილდღეობა მიიღწევა და არც სულიერი ცხოვრება იქნება სრულ-

ჩვენ არ უნდა ავყვეთ
მითქმა-მოთქმას,
რომ დრო და ადამიანი
უსაფრთხო არ არის.
უნდა ვენდოთ და
ვიყოთ სანდონი.



ყოფილი. სადაც უსამართლობაა, სადაც ტყუილი ნორმად ითვლება, სადაც ადამიანები ერთიმეორის უფლებებს არღვევენ, იქ ბუნებრივია სულიერი ცხოვრების შესაძლებლობაზე ვერ ვისაუბრებთ. ყურანში ნაბრძანებია:

„და იმათგან, ვინც ამბობს: ღმერთო ჩვენო! მოგვეცი ჩვენ სიკეთე ამქვეყნიურ ცხოვრებაშიც და იმქვეყნიურშიც, დაგვიფარე ჩვენ ცეცხ-

ლის სასჯელისგან,“ (ბაყარა 2/201)

დღეს უსაფრთხოების საკითხი გლობალურ პრობლემად იქცა. ყოველდღიურ რეჟიმში არ წყდება ისეთ მოვლენები, რომლებიც ადამიანთა შორის, ერებს შორისა და ადამიანსა და გარემოს შორის ურთიერთობებს არყევს და მსოფლიოს უფრო საფრთხის შემცველს ხდის. მოშლილია ერთიანობის განცდა და ამის სანაცვლოდ გახშირდა ფაშისტური და რასისტული დამოკუდებულელების გამოვლენა. ტერორი და ძალადობა ისევ მძვინვარებს და უდანაშაულო ადამიანებს იწირავს. უსამართლობა და მჩაგვრელობა უკვე თანამედროვე მეთოდებით უფრო და უფრო ფართო მასშტაბებს იძენს. ავი ზრახვების გამო თითქმის ყოველდღიურად წირავენ ადამიანებს.

მარტო ადამიანების კი არა, საერთოდ დედამიწის მომავალიც საფრთხეშია. ადამიანი ზომიერებას დიდი ხანია გასცდა და ბუნებრივ კანონზომიერებას უფრო და უფრო დიდი მასშტაბებით არღვევს. ზღვები, ჰაერი, გარემო კატასტროფულად ბინძურდება, ტყეები კი იჩეხება.

ამ არეულობაში, როცა ადამიანი მუდმივად ხიფათისა და უპერსპექტივობის განცდის ქვეშაა, უსაფრთხოებისა და სიმშვიდის მოთხოვნილებას ტექნოლოგიური შესაძლებლობების გამოყენებით ცდილობს. ყოველდღე ახალ-ახალ დაცვის სისტემებს იგონებენ. ქალაქის ქუჩაბში, დაწესებულებებში, სადარბაზოებში, ბინებში, მოკლედ ყველაგან უსაფრთხოების კამერებია დაყენებული. ასეთი უპრეცედენტო უსაფრთხოების ზომების მიუხედავად ადამიანებს შიში ბუნებრივ თანამგზავრად ექცათ. საზოგადოებრივი სიმშვიდე და სტაბილურობა არა და არ იქნა მიღწეული.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიღწევა, მხოლოდ სიმართლისა და სამართლიანობის პრინციპების დაცვითა და ამის ცხოვრების წესად დანერგვით მიიღწევა. საამისოდ კი გარე და შიდა ფაქტორების მობილიზებაა საჭირო. შინაგან მობილიზებას რწმენა განაპირობებს. გარე ფაქტორების მობილიზება კი საზოგადოებრივ დონეზე ჩამოყალიბებული მორალური პრინციპების დაცვით არის შესაძლებელი. ამას ემატება სამართლებრივი ნორმების დაცვაც. ამ პროცესში ყველაზე მთავარი

მაინც გულწრფელობაა. გულწრფელი დამოკიდებულების გარეშე შედეგი ვერ დადგება. ბუნებრივია, თვალთმაქცობა მიუღებელი ფორმაა. საზოგადოება, სადაც თვალთმაქცობა ნორმადაა მიჩნეული, მხოლოდ ხორცისა და ძვლებისგან შედგენილი არსებების ერთობლიობას წარმოადგენს.

და ბოლოს

საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისლამი მშვიდობა, სტაბილურობა, რწმენა და კეთილდღეობაა. ისლამი მშვიდობის, რწმენა კი უსაფრთხოების საფუძველია. ეს ნიშნავს, რომ ისლამი საზოგადოებრივი უსაფრთხოების ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად. სამისოდ კი არა ძალადობრივი, არამედ გულწრფელი დამოკიდებულებებია საჭირო. მუსლიმი, რომელსაც გულით სწამს, შინაგანად მოტივირებულია, რომ შექმნას საზოგადოებრივი უსაფრთხოება და გრძნობს შესაბამის პასუხიმგებლობას. მუსლიმს სწამს, რომ ღმერთი ყველაფერს ხედავს, ამიტომ სადაც არ უნდა იყოს, ყველაგან და ყველაფერში გულწრფელია. მუსლიმი არამარტო საკუთარ უსაფრთხოებას, არამედ სხვათა უსაფრთხოებასაც იცავს.

ის სრულად მინდობიალია გამჩენ-ზე და ამითომ თავადაც სანდო და ნდობის მაგალითია.

მორწმუნე ადამიანი არ აპყვება მითქმა-მოთქმას, რომ დრო და ადამიანები უსაფრთხო არ არიან. ის შინაგანი რწმენის მეოხებით, გაბედულებითა და მონდომებით აშენებს უსაფრთხო საზოგადოებას. მუსლიმს სჯერა, რომ ღმერთის გარეგნობას კი არ უყურებს, არამედ მის გულში იხედება, ამიტომ სადაც არ უნდა იყოს, რა ვითარებაშიც არ უნდა მოხდეს, ყოველთვის გულწრფელია და ეს გულწრფელობა მის ქცევებში მკაფიოდ აისახება.

